წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 2304
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:
ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა, 2304

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 204577813

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2304	პროგრამა: ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	7,900.0	6,750.0	6,488.0	96	1,771.2

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

eBudget ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა - დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2021 წლის სახელმწიფო, ავტონომიებისა და თვითმმართველობის ბიუჯეტების დაგეგმარების დასაწყებად. დაოპტიმიზირდა რიგი ანგარიშგების დოკუმენტები. დაოპტიმიზირდა და გაფართოვდა შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთებისა, კალათების და ჯაჭვების ვალიდაციების ფუნქციონალი. შესწავლილ იქნა და მსვლელობა მიეცა ნაერთი ბიუჯეტების

ბალანსის შემოწმებისა და ავტომატური დაბალანსების ფუნქციონალის განხორციელების ამოცანას. განხორციელდა 28 შესწორება და აღმოიფხვრა 43 ხარვეზი.

eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა - დაემატა საბილინგო არასაბიუჯეტო გადარიცხვების ინტეგრაცია, მრავალწლიანი ვალდებულების იმპორტის და ღონისძიების ნაშთის დაბრუნების საშუალებები, მესამე პირის გადახდის ფუნქციონალი, ახალი ვალიდაციები და ანგარიშგებები. შემუშავდა და დაინერგა ხაზინას და ეროვნულ ბანკს შორის საბანკო გადარიცხვების ახალი საინტეგრაციო მოდული. დასრულდა აღსრულების ბიუროს ხაზინის და ეროვნული ბანკის სისტემებში ინკასოს დამუშავების პროცესის ავტომატიზაცია. შეიცვალა პირველადი დოკუმენტის, ინვოისის, ვალდებულების, მოთხოვნის, სავალუტო დავალებების ფორმები და ვალიდაციები, ფულის მართვის მოდული, საინკასო დავალების დამუშავების პროცესი, ბუღალტრული ანგარიშთა გეგმა. ჩატარდა ხაზინის მთავარი წიგნის ოპტიმიზაცია. ცვლილებები შევიდა ხაზინის ელექტრონული სერვისში, შესყიდვების სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის, საპენსიო სააგენტოს, ბიუჯეტის სისტემასთან სინქრონიზაციის სერვისებში.

eDMS სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა - 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დასაგეგმად დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო, მომზადდა და გაიგზავნა ბიუჯეტის მხარდამჭერი და საინვესტიციო პროექტები ბიუჯეტის დაგეგმარების სისტემაში. პროექტების დიდ ნაწილზე განხორციელდა და კვლავ მიმდინარეობს ჩამორიცხვების სისტემაში ატვირთვა, შესწავლის პროცესშია ჩამორიცხვების ხაზინის სისტემიდან ავტომატურად შემოტანის ამოცანა. დასრულდა 3 ახალი ანგარიშგების დოკუმენტი, მიმდინარეობს 4 ახალი ანგარიშგების დოკუმენტის ანალიტიკა. განხორციელდა 15 შესწორება და აღმოიფხვრა 12 ხარვეზი.

eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა - სისტემაში განახლდა თანამშრომლის დანიშვნის ფუნქციონალი. დასრულდა შეფასების მოდულის, პროფესიული განვითარების მოდულის, ინტეგრაციის პროექტის და რეპორტის კონსტრუქტორის მოდულების ანალიტიკის ეტაპები. ასევე დასრულდა ამავე მოდულების დაველოპინგის და სტაბილიზაციის ფაზები. განახლდა self-service პორტალი. დასრულებულია ახალი მოდულების რეალურ გარემოში იმპლემენტაციის სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს ახალი მოთხოვნები/ შემთხვევევის იდენტიფიცირება და მათი ტექნიკური გადაწყვეტა. გადრა ამისა, ინტენსიურად მიმდინარეობს მომხმარებელთა ტრენინგები და მხარდაჭერა.

eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - განისაზღვრა 2020 წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. მოხდა ისეთი ამოცანების შესრულება და დანერგვა, როგორებიცაა ორ-ფაქტორიანი აუტენტიფიკაცია, დოკუმენტების რეგისტრაციის ავტომატური და ჰიბრიდული რეჟიმი, დოკუმენტების გარე სისტემებში ექსპორტი, დანართ ფაილებზე დოკუმენტის რეკვიზიტების დატანა, ფაილების შაბლონების გამიჯნვა ორგანიზაციების მიხედვით, დოკუმენტის რეგისტრაციის ფუნქციონალში ბევრი ფაილის ატვირთვის ფუნქციონალის რეალიზაცია, ფაილის გვერდების დანომვრის შესაძლებლობა, ვიზირების, ხელმოწერის და გადაწერის სქემების მონაცემების რედაქტირება და ა.შ. შესრულდა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის

ახალი ტიპის დანართების შემუშავება და მათთან დაკავშირებული პროცესების რეალიზაცია და დანერგვა. განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს დავების დეპარტამენტის დავების განხილვის საბჭოს ჩართვა დავების განხილვის საინტეგრაციო სერვისში (საინტეგრაციო სერვისი eDocument სისტემის და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის სისტემას შორის). შესრულდა ორგანიზაციების, ფიზიკური პირებისა და სახელმწიფო სტრუქტურების კლასიფიკატორების სტანდარტიზაცია და დუბლირებული მონაცემების აღმოფხვრა. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, შესრულდა eDocument სისტემაში ჩართული ყველა მუნიციპალიტეტის ჩართვა დოკუმენტების ელექტრონული მიმოსვლის სერვისში (Interflow/DES) და „მოქალაქის პორტალი my.gov.ge“ - სთან დოკუმენტების გაგზავნა/მიღების პროცესის გამართვა. შესრულდა დოკუმენტების ექსპორტის სერვისის დანერგვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში. ასევე შესრულდა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ქეის მენეჯმენტის სისტემის ინტეგრაცია eDocument სისტემასთან.

უზრუნველყოფილია TLS 1.0 / 1.1 მხარდაჭერის გაუქმებით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრა, მათ შორის Google Chrome-სა და Microsoft Edge-ში eDocument სისტემის თავსებადობა eBridge პლაგინთან.

შესრულდა დოკუმენტების ჰიბრიდული წესით რეგისტრაციის ფუნქციონალის დანერგვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში. შესრულდა და დაინერგა დოკუმენტების ელექტრონული მიმოსვლის სერვისით (Interflow/DES) მიღებული/გაგზავნილი კორესპონდენციის დათვალიერების რეჟიმის ფუნქციონალი.

შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ მოთხოვნის საფუძველზე, შემუშავდა eDocument სისტემის და Google Classroom სისტემის ინტეგრაციის ტექნიკური დავალების დოკუმენტი.

შესრულდა 2019 წლის ჟურნალების მონაცემების გასუფთავება eDocument ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ყველა კლიენტისთვის და 2019 წლის ფაილების არქივაცია / გატანა NAS (QNAP) საცავში.

ჩატარდა eDocument სისტემის სერვერების მოდერნიზაცია.

მიმდინარეობს eDocument სისტემის 5.8 ვერსიაზე მუშაობა. ასევე მიმდინარეობს “Licensee of Federal Express Corporation and TNT“ საფოსტო სერვისის ინტეგრაცია, ვადების გენერაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, და ა.შ. მიმდინარეობს eDocument სისტემის და საპენსიო სააგენტოს pensions.ge სისტემის ინტეგრაცია.

eAuction ელექტრონული აუქციონი - განხორციელდა 37 ფუნქციონალური ელემენტის ოპტიმიზაცია. გაუმჯობესდა და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის 35 კომპონენტი. სისტემას დაემატა ანგარიშგების სხვადასხვა ფორმა. მოხდა სისტემის შიდა სერვისების ოპტიმიზაციის და განახლების სამუშაოები, როგორც პროგრამულად, ასევე ტექნიკურად, კერძოდ განხორციელდა მონაცემთა ბაზების გადატანა ახალ ინფრასტრუქტურაზე. რეალურ გარემოში განთავსდა ახალი სერვისი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, რაც გულისხმობს ვებ გვერდზე მომხმარებლის რეგისტრაციისათვის საჭირო ფიზიკური პირების შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდებას. ასევე სისტემას რეალურ გარემოში დაემატა ახალი ფუნქციონალი აუქციონში გამარჯვებულ მომხმარებლებს დაეგზავნებათ შეტყობინება დარჩენილი ღირებულების გადახდის შესახებ. სისტემას რეალურ გარემოში დაემატა ახალი სერვისი ლიბერთი ბანკთან აუქციონის

საგარანტიო თანხების უკან დაბრუნების ახალი მეთოდი. ასევე მიმდინარეობს ახალ ინტეგრირებულ სერვისზე მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს ვებგვერდზე eauction.ge წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული აუქციონების შედეგების მეორე მხარისთვის (გამომცხადებლისთვის) შესაბამისი ინფორმაციის ავტომატურად მიწოდებას/ტრანსფერს.

აგრეთვე სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს რომ სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო გაუქმდა და მის სამართალ მემკვიდრეს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფოს ქონების ეროვნული სააგენტო, აღნიშნულმა ცვლილებამ სისტემაში გამოიწვია სისტემის 5 ვიზუალური კომპონენტის ცვლილება, ასევე ძირეული ცვლილებები შევიდა სისტემის 7 პროგრამულ ნაწილში. სისტემაში განხორციელდა სახაზინო ანგარიშების ცვლილება, აგრეთვე მოხდა განაცხადის ნომრების გენერატორის ცვლილება მოძრავი და უძრავი ქონების ტიპის მიხედვით, ასევე მოდიფიცირდა ლოტის რეგისტრაციისას ავტომატურად გენერირებადი ინფორმაცია, შეიქმნა ახალი დაშვებები მოძრავი და უძრავი ქონების ტიპის მიხედვით.

სისტემას დაემატა ახალი ფუნცქციონალი, www.eauction.ge-ის ელექტრონულ მაღაზიაში ნივთების უფასოდ განთავსების შესაძლებლობა, იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებიც საქარველოში აწარმოებენ პროდუქციას.

რეალურ გარემოში განთავსდა ახალი სერვისი საქართველოს ფოსტასთან, რაც გულისხმობს, ელექტრონულ მაღაზიაში გაყიდული იმ იურიდიული პირების ნივთების მიტანის სერვისს, რომლებიც საქარველოში აწარმოებენ პროდუქციას.

ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა - დამონტაჟდა და გაეშვა ექსპლუატაციაში გამოთვლითი, ჰიპერ-კონვერგენტული პროგრამული აპარატურული კომპლექსი VXRAIL, სადაც განხორციელდა კრიტიკული ვირტუალური მანქანების მიგრაცია და ასევე მოხდა არბიტრატორის გამართვა მესამე მონაცემთა შენახვის ცენტრში აღნიშნული სისტემის სტაბილური ფუნქციონერებისათვის.

განხორციელდა ახალი ბეკაპირების სისტემის ფიზიკური ინსტალაცია და კონფიგურაცია 2 მონაცემთა დამუშავების ცენტრში არსებულ ბეკაპირების სისტემაში ჩასართველად.

შემოსავლების სამსახურის მიერ შეძენელი სერვერები დამონტაჟდა ჩვენს სასერვეროში. სტატისტიკის ახალი სისტემა დაინსტალირდა 5 ფიზიკურ სერვერზე ვირტუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა VMWare. დაკონფიგურირდა Windows 2016 და ლინუქსის სერვერები.

პრივილეგირებული მომხმარებლებისათვის და დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებისათვის VPN შეერთებისათვის დაინერგა მრავალ ფაქტორიანი (Multi-Factor Authentication - MFA) აუტენტიფიკაციის სისტემა. ასევე მრავალ ფაქტორიანი აუტენტიფიკაციის სისტემა გააქტიურდა სერვერებზე აუტენტიფიკაციისათვის კერძოდ პრივილეგირებული მომხმარებლებისათვის.

უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით ქსელურ მოწყობილობებში ბრენდმაუერებზე განახლდა ოპერაციული სისტემის ვერსიები.

ფინანსთა სამინისტროში განთავსებული განთავსებულ WIFI აქსეს პოინტებზე განახლდა ოპერაციული სისტემა და ასევე მათ დაემატა ფუნქცია დომენით ავტორიზაცია.

განხორციელდა ვირტუალური მანქანების მიგრაცია ახალ ჰიპერკონვერგენტულ გარემოში და ასევე ვირტუალური პლატფორმა განახლდა მე-7 ვერსიამდე.

დამატებითი ნოუდებისათვის ქსელურ ინფრასტრუქტურაში განხორციელდა ახალი კავშირების უზრუნველყოფა.

მხარდაჭერა, ტრენინგი, სემინარი და კონსულტაცია

მომართვათა საერთო რაოდენობა - **42291**

გაწეულია **39197** სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument - 17325, eTreasury - 19012, eHRMS - 413, სხვა სისტემები - 2447.

ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი მოემსახურა 3094 ტექნიკური გამოძახებას და გასწია შესაბამისი მომსახურება.
eTreasury, eDocument და eHrms სისტემებში მუშაობის სწავლება ჩაუტარდა 253 მომხმარებელს.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, ხორციელდება გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (EIMS) ექვსი პროექტი.
- შემუშავდა, განთავსდა და მხარდაჭერილია 12 სხვადასხვა ვებ-გვერდი, პორტალი და/ან საინფორმაციო პლატფორმა (მათ შორის, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ოთხენოვანი ვებგვერდი https://stopcov.ge/).

მიღწეული საბოლოო შედეგები: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესები უზრუნველყოფილია და შესაბამისობაშია გეგმასთან; უზრუნველყოფილია ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა; უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია; განსაზღვრულია მომხმარებელთა სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებები, უზრუნველყოფილია კონტროლი და მონიტორინგი; ოპტიმიზებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენება მომხმარებელთა მიერ; უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებპროდუქტებისა და ვებსერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: თანამშრომელთა პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი; ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) ახალი კომპონენტების დანერგვის, უკვე არსებული ქვესისტემების სრულყოფის ფაქტობრივი ვადების და რესურსების ხარჯვის შესაბამისობა დაგეგმილ ვადებთან; რეალიზებული ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემების და ვებპროდუქტების ფუნქციონალის შესაბამისობა ფინანსთა სამინისტროს სისტემის ან სხვა სამთავრობო უწყებების მოთხოვნების ფუნქციონალურ სპეციფიკაციასთან; ცხელი ხაზის საქმიანობის ამსახველი წლიური სტატისტიკური მაჩვენებლები;

საინფორმაციო სისტემებში ხარვეზების რაოდენობის და ავარიული გაჩერებების აღმოფხვრის დროის ჯამური წლიური მაჩვენებელი.